№101 ორშაბათი
22 დეკემბერი 2014 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

გურია
NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

# ოზურგეთსა და ჩოხატაურში კონკურსის მესამე ეტაპი დაიწყო

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მესამე ეტაპი _ გასაუბრება უკვე დაიწყო.**
**ქალაქ ოზურგეთის მერიაში გასაუბრება 19 დეკემბერს დაიწყო. როგორც გვითხრეს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ამ კვირაში გახდება ცნობილი.**


**გასაუბრება დაიწყო** | ფოტო: გიორგი გირკელიძე

კონკურსანტები, რომლებსაც მერიის და ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე სურთ დასაქმება, ჩვენთან საუბრისას ამბობენ, რომ გასაუბრებამ კარგად ჩაირა:
_ *ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, ჩემი გადასახედიდან ყველაფერი კარგად წარიმართა, ძირითადად, კითხვები იყო იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოცდილებას ვფლობ, 5 ვაკანსიაზე მაქვს შეტანილი განაცხადი,* _ გვითხრა ნანა ჯაფარიძემ.
გასაუბრებით კმაყოფილი იყო ეთერ ყავრელიშვილიც:
_ *კმაყოფილი გამოვედი გასაუბრებიდან და ველოდები კარგ შედეგს, მიმაჩნია, რომ დადებითად გავეცი პასუხები. კომისია ვფიქრობ, ობიექტური იყო,* _ თქვა ყავრელიშვილმა.
ქალაქ ოზურგეთის მერიამ გასაუბრების ეტაპზე "გურია ნიუსს" დაკვირვების და გადაღების უფლება არ მისცა.
_ "*თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ კონკურსის ის ეტაპი, რომელზე თქვენ გსურთ დასწრება, ყველაზე რთულია კონკურსანტებისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. კონკურსანტთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, კომისია არ მიიჩნევს მიზანშეწონილად გასაუბრებაზე გარეშე პირთა დასწრებას. კომისია დაკომპლექტებულია კომპეტენტური წარმომადგენლებით, რომლებიც მიუკერძოებლად და სამართლიანად მიიღებენ გადაწყვეტილებებს.*
*აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული კონკურსის გასაუბრების ეტაპის ჩატარება მოიცავს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებული პერსონალური ინფორმაციის განხილვას",* _ აღნიშნულია "გურია ნიუსისთვის" მერიიდან
გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს ვიცე მერი ალეკო ბურჭულაძე აწერს.
გასაუბრების ეტაპზე დაკვირვების უფლება ვერც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიიდან მივიღეთ:
"*2014 წლის 18 დეკემბრის თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო/საატესტაციო კომისია შეიქმნა 2014 წლის 18 სექტემბერს, რომელმაც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ჩაატარა კონკურსის ერთი ეტაპი (განცხადებების შერჩევა-გადარჩევა) და უნდა უზრუნველყოს მესამე ეტაპის (გასაუბრება) ჩატარება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული კონკურსის მესამე ეტაპის (გასაუბრება) ჩატარება მოიცავს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერსონალური ინფორმაციის განხილვას, კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია დამკვირვებლის სტატუსით გარეშე პირის დაშვება*", _ მოგვწერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ არჩილ ყაზაიშვილმა.
რაც შეეხება კონკურსის მესამე ეტაპს _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გასაუბრება დღეს დაიწყო და 6 დღის განმავლობაში _ 28 დეკემბრამდე გაგრძელდება.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს აპარატში 137 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად განაცხადი 488 კანდიდატმა შეიტანა. მათ შორის: გამგეობის 123 ვაკანსიაზე 416-მა კანდიდატმა, ხოლო საკრებულოს 14 ვაკანსიაზე 72-მა კანდიდატმა.
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, საკონკურსო/საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, მერაბ ჭანუყვაძის** ინფორმაციით, 392-მა აპლიკანტმა სრულად დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გადავიდა ტესტირების ეტაპზე, ხოლო 98 კანდიდატს მიეცა ორი სამუშაო დღის ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
_ *18-მა აპლიკანტმა აღმოფხვრა ხარვეზი და, საერთო ჯამში, კონკურსის ტესტირების ეტაპზე 410 კანდიდატი გადავიდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ 2014 წლის 13-14 დეკემბერს ტესტურ გამოცდებში მონაწილეობა 368 კანდიდატმა მიიღო.*

▶9

## მთავარი თემა

### სამინისტროს განცხადებას უპასუხისმგებლოს უწოდებენ

(გურია ნიუსი, თბილისი) _ თავდაცვის სამინისტროს განცხადებას, სადაც უწყება უკრაინაში ქართველი მებრძოლის, ალექსანდრე გრიგოლაშვილის გარდაცვალებაზე საუბრობს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ეხმაურებიან და მას ამორალურს უწოდებენ.
_ "სამარცხვინო, ამორალური და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაა! ჩათვალეთ, რომ უკიდურესად ლოიალური და კორექტული ვარ", _ წერს "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი.
ამავე პარტიის კიდევ ერთი წარმომადგენელი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელის აზრი ასეთია: "ვინმემ რამე თქვა, მაგალითად ასეთი _ ჩვენ არა, დააჰაკერეს გვერდიო".
თავდაცვის სამინისტროს განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე.
"არც ვამეტებ და არც იმ უსაფუძვლო სტერეოტიპული წარმოდგენის გამყარება მინდა, თითქოს, ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით ყველაფერი და კრიტიკის გარეშე არ შეგვიძლია, მაგრამ უნდა ვთქვა _ დიახ, ჩვენ ბევრ დროს ვუთმობთ და უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ და ვფიქრობთ თითოეულ სიტყვასა და განცხადებაზე, რომელზეც ვმუშაობთ, ვმსჯელობთ და გიზიარებთ. ხოდა, მორიგი ასეთი "რესპუბლიკური" დღის ბოლოს, ახალი ამბების დათვალიერებისას, ზედიზედ სამ უპასუხისმგებლო განცხადებას რომ ხედავ პოლიტიკური პარტნიორი(ები)სგან, მართლა ძალიან მძიმეა", _ წერს სამნიძე.
შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტრომ პასუხისმგებლობა უკრაინაში გარდაცვლილი ჯარისკაცის გამო წინა ხელისუფლებას დააკისრა.
_ "გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.
თავდაცვის სამინისტროს მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი მოწოდებები არის უპასუხისმგებლო და ემსახურება საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას.
თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აჰყვეს პროვოკაციას და სხვადასხვა შემოთავაზების სანაცვლოდ, არ ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში", _ აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ოპოზიციამ ქვეყნის ღალატის შემცველ განცხადებად შეაფასა.

მორიგე რედაქტორი:
ნატო გოგელია

**სრულიად გურიის მოსახლეობას!**
**გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**
ჯანმრთელობის, ბედნიერების და
წარმატებების წელი ყოფილიყოს ყოველი ოჯახისთვის!
იმედიანი განწყობა, მოყვასის სიყვარული,
სილაღე და სიხარული დაგბედებოდეთ!

*პატივისცემით და დიდი სიყვარულით,*
*გელა კობალაძე,*
*ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე*

**ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, გურულებო!**
**დალოცვილი ყოფილიყოს**
**2015 წლის შემობრძანება ჩვენს ქვეყანაში!**
**დამდეგ კალანდას გილოცავთ!**

ჯანის სინმრთელე, სიყვარული, სილამაზე
და იმედი დაგბედებოდეთ!
მუდამ თქვენ გვერდით გვიგულეთ!
*პატივისცემით, მერაბ ჭანუყვაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

**ძვირფასო ოზურგეთელებო! გურულებო!**
**გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, შობას, კალანდას!**
ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს!
**გაიხარეთ და გამრავლდით!**

*პატივისცემით, დავით დარჩია,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს თავმჯდომარე*

**ძვირფასო ოზურგეთელებო! გურულებო!**
**გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, კალანდას!**
გისურვებთ ჯანის სინმრთელეს,
ბედნიერებას და ულევ სიხარულს!
**იმედითა და სიხარულით შევხვდეთ**
**ახალი წლის შემობრძანებას!**

*პატივისცემით, გაბრიელ მურადაშვილი,*
*შპს "პლაზმას" დირექტორი*

# სხდომაზე ახალი მანქანების შეძენასა და სველი წერტილების გაკეთებაზე იმსჯელეს

მარინე ჩიხლაძე
გურია ნიუსი

**18 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შედგა, რომლის დღის წესრიგი შვიდი საკითხით იყო წარმოდგენილი. სხდომას 35 დეპუტატი ესწრებოდა. საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ ახალი წლის ადრიანი მილოცვით დაიწყო და დეპუტატებს განუცხადა, რომ 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ამ წლის 25 დეკემბერს მოხდება, გასვლითი სხდომა ჩატარდება დაბა ურეკში, ახლა კი წინა წლის ბიუჯეტში მომხდარ ცვლილებებს კიდევ ერთხელ მიმოიხილავდნენ.**



**საკრებულოს სხდომაზე |** ფოტო: მარინე ჩიხლაძე

პირველი საკითხის ირგვლივ, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საფინანსო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა ისაუბრა. მან თქვა, რომ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში ბუჯეტი 120,0 ათასი ლარით გაიზარდა. თანხის სხვადასხვა რაოდენობით შემცირდა გამგეობის და საკრებულოს საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი, საკრებულოს შტატგარეშე მომუშავეთა, კავშირგაბმულობის, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების, კომუნალური, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურების ხარჯები. გაზრდილია ინფრასტრუქტურული, მრავალშვილიანი ოჯახების ხარჯები. ასევე, გაიზარდა მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივები _ 50,0 ათასი ლარით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივები _ 40,0 ათასი ლარით.

გია მამაკაიშვილმა ისაუბრა გამგეობისა და საკრებულოსთვის ახალი ავტომობილების შეძენის თაობაზე, რადგან ძველ მანქანებს მუდამ შეკეთება და რემონტი სჭირდება. ასევე, ისაუბრა ადმინისტრაციულ შენობაში სველი წერტილების მოგვარების აუცილებლობაზე.

დეპუტატებმა საყვედური გამოთქვეს მარად მოუგვარებელ პრობლემაზე, რასაც გამგეობის შენობაში კანალიზაციის საკითხი ჰქვია.

ლელა ნაცვალაძემ განმარტა, რომ სანამ კანალიზაციის პრობლემა არ მოგვარდება, მუდამ ასე იქნება, აკეთებენ და მაინც გაუკეთებელია. რემონტი კი, როგორც კეთდებოდა, კარგად ვიცით. სოფელ მაკვანეთის დეპუტატმა ნუგზარ კალანდარიშვილმა საახალწლოდ სოფლის ცენტრებში ნაძვის ხეების ელემენტარული მორთვა მოინდომა. დეპუტატთა ნაწილი არ დაეთანხმა ამ აზრს, მათი აზრით, ჯერ სოფლის ცენტრები უნდა განათდეს და მერე უნდა მოხდეს ნაძვის ხის მორთვა. ზოგი ხუმრობის ხასიათზეც დადგა, ვიყიდოთ "სასროლები", ლეკიანში ყველა სოფელს აქვს საყანე ფართობები, ჩავიდეთ იქ და ერთად შევხვდეთ ახალ წელს, _თქვა გურიანთის გამგებელმა ბონდო ღლონტმა. დიმიტრი კვერღელიძემ აღნიშნა, რომ ამაში პრობლემას ვერ ხედავს, ევროპის ქვეყნებში მილიარდები იხარჯება სახალწლო განწყობისთვის და ჩვენ ეს 15 ათას ლარამდე თუ დაგვიჯდება. შესაძლებელია, რაღაცით ადამიანები გავახაროთ.

რაც შეეხება ახალი მანქანების შეძენას, ზოგმა მეორადის შეძენა სჯობსო, _ რჩევა არ დაიშურა, საბოლოოდ, შეთანხმდნენ, რომ უმჯობესია ახალი მანქანების შეძენა. 50 ათასი ლარი გამგეობისთვის, ხოლო 40 ათასი ლარი საკრებულოსთვის მანქანების შესაძენად უნდა დაიხარჯოს.

საბოლოოდ, ცვლილებას კენჭი ერთხმად უყარეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხს კი, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N14 განკრგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შესყიდვების სამსახურის უფროსმა, ამირან გირკელიძემ ისაუბრა და შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ გეგმაში წარმოდგენილი არ არის მანქანების შეძენის ხარჯები და ასევე, სოფლებში ახალი წლის აღსანიშნავად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ. ამიტომ, როგორც კი იქნება წარმოდგენილი, გავითვალისწინებო. დეპუტატებმა მეორე საკითხს ამირან გირკელიძის შენიშვნის შემდეგ უყარეს კენჭი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხმა, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, გამგებლის მოადგილემ, არჩილ ყაზაიშვილმა ისაუბრა. მან თქვა, რომ რანგირების მიხედვით, თითქმის, ერთნაირია საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა თუ თანამშრომელთა ხელფასები.

დეპუტატმა ბონდო ღლონტმა იხუმრა _ ჩვენ მთლად წყალწაღებულები ვართ, ეს 500 ლარი გვაქვს და რამდენი სირბილი გვიხდება. ურეკში რომ წავალთ გასვლით სხდომაზე, მაშინ მაინც მოგვიმატეთ რაიმეო. დავით დარჩიამ დაიფიცა კიდეც, რომ ამ საკითხზე უკვე საუბარი იყო.

თანამდებობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებლის ხელფასი იქნება 2650 ლარი, პირველი მოადგილის _ 2250 ლარი, მოადგილის _ 2100 ლარი და სამსახურის უფროსის 1680 ლარი. საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასი, ისევე, როგორც გამგებლის, 2650 ლარი უნდა იქნეს. აღნიშნული ცვლილებების განსახილველად მესამე საკითხის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას დეპუტატებმა კიდევ ერთხელ უყარეს კენჭი.

დეპუტატებმა, ასევე, დაჩქარების წესით უყარეს კენჭი დანარჩენ საკითხებს, რომელიც მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცებას, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის გეგმის მიმოხილვას და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გახორციელებას შეეხებოდა.

# გასაუბრების მოლოდინში

გოჩა ჯანაშია
გურია ნიუსი

**საჯარო მოხელეთა საატესტაციო გამოცდების ბოლო და გადამწყვეტი ეტაპის _ გასაუბრების მოახლოებასთან ერთად, იმატებს ვნებათაღელვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.**

**როგორი ობიექტურობით ჩატარდება გასაუბრება, ვის ექნება პროცესზე დაკვირვების უფლება, რა კრიტერიუმებით შეირჩევიან აპლიკანტები? _ ეს ის კითხვებია, რომლებიც კონკურსანტთა გარდა ბევრს აღელვებს.**



ბიუროს სხდომაზე ელგუჯა ჩხაიძემ კომისიების ერთგვარი უნდობლობის საკითხი წარმოშვა და გასაუბრების პროცესზე დასწრების სურვილი გამოთქვა. ასეთმა პოზიციამ გაანაწყენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე, რომელიც, ამავდროულად, საკრებულოს საგამოცდო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეცაა.

_ *"რა გამოდის, კომისიას არ ენდობით? მაშინ რატომ აწიეთ ხელი, როცა მისი დამტკიცება მოხდა. ასე თუ ფიქრობთ, არ მინდა, ბატონო, საერთოდ დავტოვებ კომისიას"*, _ გაცხარდა კილაძე.

გასაუბრებაზე დამსწრეთა საკითხს თავად კომისია წყვეტს და ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ კომისიის წევრები და როგორ დაიცავენ საჯაროობის პრინციპს. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია თავად კონკურსანტის მიდგომაც, ზოგს შეიძლება სურდეს მესამე მხარის დასწრება, ზოგს _ არა. ხალხში კი მუსირებს აზრი, რომ ვისაც პატრონი არ ჰყავს, იმისთვის მეთვალყურის დასწრება უფრო მისაღებია.

ჩვენ აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელ დირექტორს და ექსპერტს თვითმმართველობის საკითხებში, **ამირან გიგინეიშვილს**, რომლის განმარტებითაც: _ *"შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იქნეს კომისიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული კომისიის სხდომაზე. კრიტერიუმები უნდა იყოს შემდეგი სფეროებიდან:*

*1. ცოდნა/კომპეტენცია/გამოცდილების შეფასება/კანდიდატის მზაობა თანამდებობის დასაკავებლად.*

*2. თანამშრომლობა და ჯგუფური მუშაობა/ინტერპერსონალური ურთიერთობები/მენეჯერული უნარი.*

*3. მოტივაცია. კრიტერიუმები უნდა გაიწეროს შეფასების ანკეტაში, რომელიც ასევე უნდა დაამტკიცოს კომისიამ კენჭისყრით. ანკეტა ურიგდება კომისიის წევრებს და ისინი დამოუკიდებლად წერენ ნიშანს კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებაში. შემდეგ ნიშნებს აჯამებენ და აწვდიან კომისიის თავმჯდომარეს. ამის შემდეგ ხდება სხდომის დახურვა და ყველა წევრის მიერ მიწოდებული ქულების შეჯამება. კონკრეტული კონკურსანტისთვის ცხადდება მხოლოდ საერთო (ჯამური) შეფასება. კონკრეტული კომისიის წევრის მიერ გაცემული შეფასება საჯარო არაა. ვიმეორებ, მხოლოდ ჯამური შეფასებაა საჯარო.*

*რაც შეეხება გასაუბრებაზე დამსწრეთა მსურველებს, ეს თავად კომისიებია გადასაწყვეტია, თუ ვის და რამდენ ადამიანს მიანიჭებენ ამის უფლებას. რა თქმა უნდა, საუბარია მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე"*, _ თქვა გიგინეიშვილმა.

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში; ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე ვრცელ მასალას და შეუკვეთავ წერილებში ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
თბილისის განყოფილების ხელმძღვანელი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სარეკლამო მენეჯერი
ქანა მეგრელიშვილი
☎571903979
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 20 თეთრი;

შავთეთრ სურათიანი განცხადება
დამატებით ერთი ლარი,
ფერადსურათიანი მილოცვა
_ ორი ლარი.

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება შესაბამისი
გვერდის ფასის _
350 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი
(მთლიანი გვერდის ზომაა
1000 კვადრატული სანტიმეტრი)

პირველ გვერდზე (ფერადი): _
1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:
_ 0.35 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _
0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.25 ლარი.

შავ-თეთრი გვერდის ფერადად
დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.

პოლიტიკური რეკლამის
ღირებულება ორმაგია.

*გაზეთი დაბეჭდილია
შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

## ძვირფასო ოზურგეთელებო!
## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



მომავალი წელი ჯანმრთელობის, ბედნიერების,
წარმატების წელი ყოფილიყოს
თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის!

*პატივისცემით, ნინო გოგუაძე,*
*ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს*
*თავმჯდომარის მოადგილე*

## ჩემო საყვარელო ნასაკირალის მცხოვრებლებო!
## სულითა და გულით
## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



მშვიდობის,
სიჯანსაღის,
სიხარულის,
ხვავისა
და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს
2015 წელი თითოეული თქვენგანისთვის!

*შოთა ართმელაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი*

## ჩემს საყვარელ ბაილეთელებს,
## მთელ საქართველოს!
## ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!




გისურვებთ ჯანის სიმრთელეს,
ბედნიერებას, ხვავსა და ბარაქას!

*პატივისცემით, პაატა კილურაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაილეთის*
*მაჟორიტარი დეპუტატი*

## გილოცავთ დამდეგ შობას,
## ახალ წელს, დამდეგ კალანდას!




მშვიდობის და კარგად ყოფნის,
შვილიანობის, ღვინიანობის,
პურიანობის, ბედნიერების, ხვავ-ბარაქისა
და წარმატებების წელი ყოფილიყოს!

*პატივისცემით, იაკობ დოლიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე*

## ოზურგეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს!
## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



ჯანმრთელი
ახალგაზრდობა
ჩვენი ქვეყნის
მომავალია!
გისურვებთ
წინსვლას,
წარმატებებს,
შემოქმედებითი და
სპორტული ნიჭის
გამობრწყინებას!

## უფალი გფარავდეთ!

*დიდი სითბოთი და სიყვარულით, ვლადიმერ კუნჭულია,*
*ქალაქ ოზურგეთის მერიის*
*ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი*

დაფინანსებული ფართი



# დამდეგ შობა ახალ-წლის გილოცავთ! ვულოცავ ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს და სრულიად საქართველოს!

დამდეგი 2015 წელი წინსვლის, წარმატების, გამარჯვების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის.

მჯერა, ყველა მოქალაქე იგრძნობს იმ სიკეთეების რეალურ შედეგს, რასაც ჩვენი ხელისუფლება საშინაო თუ საგარეო კუთხით, სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ახორციელებს. დარწმუნებული ვარ, წინ გაცილებით საინტერესო და ნაყოფიერი წლები გველოდება!

ვუსურვებ ჯანმრთელობას, გამრავლებას, სიმშვიდესა და სიმდიდრეს ოზურგეთელ ყველა ოჯახს!

*ზვიად კვაჭანტირაძე,*
*თქვენი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში*

საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ზვიად კვაჭანტირაძის მოწვევით ოზურგეთს სტუმრობდა გერმანიის ბუნდესტაგის წევრი, გერმანიის საქართველოსთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი კარინ შტრენცი.

ქალბატონ **კარინ შტრენცისა** და **ზვიად კვაჭანტირაძის** შემწეობით და **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის** უშუალო ჩართულობით დაიწყო მოლაპარაკებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ ოზურგეთს გერმანიაში ეყოლება პარტნიორი დამეგობრებული ქალაქი.

**კარინ შტრენცი** და **ზვიად კვაჭანტირაძე** ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში პედაგოგთა პროფესიული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.



## პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ოზურგეთის ბიუროს მუშაობის მოკლე ანგარიში

საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის იანვრამდე შემოსულია 164 განცხადება. შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალური ხასიათისაა.

მოქალაქეები ითხოვენ შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენას, ჯანმრთელობის დაფინანსებას, ბუნებრივი აირის შეყვანას, გზის რეაბილიტაციას, წყლის სისტემის აღდგენას და ასე შემდეგ. შვიდმა მოქალაქემ მოგვმართა შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენის მოთხოვნით. ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა შვიდივე მათგანს უშუამდგომლა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსთან გაიოზ თალაკვაძესთან, აქედან, 6 მოქალაქეს აღუდგა შეწყვეტილი სოციალური დახმარება. ერთი განცხადება განხილვის პროცესშია. ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობით 14 მოქალაქეს დაუფინანსდა ოპერაციისათვის საჭირო თანხა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობით 5 მოქალაქეს დაუფინანსდა მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა. 39 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ჩაერიცხათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე დაკმაყოფილდა 4 განცხადება ბუნებრივი აირის გაყვანასთან დაკავშირებით. 29 დაკმაყოფილებული განცხადება სხვადასხვა ხასითისაა. საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობითა და უშუალო ჩარევით 2015 წელს დაპროექტდება და აშენდება სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა. საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის იანვრამდე ზეპირი კონსულტაცია და დახმარება გაეწია 1200 მოქალაქეს.

### ზვიად კვაჭანტირაძის ორი ინიციატივა

**დიმიტრი კვერღელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** *საქართველოს პარლამენტის წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ 2015 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად საკრებულოს მიმართა ორი ინიციატივით. პირველი ინიციატივა მდგომარეობს იმაში, რომ 85 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებს პენსიაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისცემოდათ დანამატი, ხოლო მეორე ინიციატივის თანახმად, სოციალური პაკეტით მოსარგებლე ბენეფიციარებს ერთჯერადი დახმარების სახით გასაცემ თანხაზე (100 ლარი) დამატებით მიეღოთ 50 ლარი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობასთან ერთად იმსჯელა დეპუტატის ინიტიატივასთან დაკავშირებით და გადაწყდა, რომ ერთჯერადი სოციალური დახმარება გაიზარდოს 100-დან 150 ლარამდე. 2015 წლიდან, დაახლოებით, 1000 ოჯახი ისარგებლებს გაზრდილი სოციალური პაკეტით.*

**ზვიად კვაჭანტირაძე:** "*ამ ადამიანს (არსენ კეჭაყმაძე) განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქალაქის ისტორიაში".*

8 ნოემბერს სახალხო დღესასწაულზე , ალეგრობა-ოზურგეთობაზე საპატიო ოზურგეთელების დაჯილდოება შედგა. ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძემ საპატიო ოზურგეთელის წოდება აკადემიკოს არსენ კეჭაყმაძეს გადასცა: "ამ ადამიანს აქეთ ეგების, რომ ვინმეს სახელდება მოახდინოს მაღალი სცენიდან, იმდენად ძვირფასია მისი სახელი თითოეული ოზურგეთელისთვის იმიტომ, რომ ამ ადამიანს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქალაქის ისტორიაში და ძალიან სერიოზული წვლილი აქვს საქართველოს ისტორიაში და მეცნიერებაში შეტანილი. მე ვამაყობ იმით, რომ ის არის ჩემი ძალიან ახლო მეგობრის მამა, მაგრამ მიხვდებით, რომ ამას არაფერი კავშირი არ აქვს ამ დაჯილდოებასთან, როდესაც გაიგებთ მის სახელსა და გვარს _ დიდი პატივისცემით, არსენ კეჭაყმაძე".

### ზვიად კვაჭანტირაძის შეხვედრა მოქალაქეებთან

საქართველოს პარლამენტის წევრი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე მოქალაქეებთან შეხვედრებს რეგულარულად მართავს. 25 აგვისტოს ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოქალაქეებთან მორიგი შეხვედრა გამართა. ეს შეხვედრა განსაკუთრებულად ხანგრძლივი გამოდგა. იგი დილის 12 საათზე დაიწყო და საღამოს 6 საათზე დასრულდა. **დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები ზვიად კვაჭანტირაძის მისამართით არაერთი თბილი სიტყვებისა და მადლობის მოწმენი გავხდით.** ყოფილი ნევთობაზის შენობაში დროებით შესახლებულმა ლია ტულუშმა, რომელსაც დეპუტატი **დენისა და წყლის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა და მის ოჯახს საახალწლოდ ტელევიზორი აჩუქა, ზვიად კვაჭანტირაძეს თავისი შვილიშვილების თორნიკე და მარიამ ხომერიკების დაწერილი წერილი მიუტანა:** "*ჩემო საყვარელო ზვიად ბიძია, ტელევიზორში რომ დაგინახავთ ,იმედი მესახება, რადგან ვიცი, რამდენ ოჯახს დაეხმარეთ. რამდენი ბავშვი გაახარეთ და რამდენ ადამიანს დაუბრუნეთ ცხოვრების ხალისი. კარგად მინდა ვისწავლო, სპორტშიც წარმატებული ვიყო იმიტომ, რომ არ შეგარცხვინოთ. თქვენ საკუთარი შვილივით მომექეცით.* **ყოველთვის მახსენდება თქვენი სიტყვები ბებოს რომ დაუბარეთ: " გაზარდეთ ეს ბავშვები, მადლიაო." სწორედ უნდა გავიზარდო, რომ თქვენ, ბებო და სამშობლო ვასახელო.** *თქვენ ხართ ჩემთვის მაგალითი, ადამიანი , ვისაც უნდა მივბაძო და ისე გავახარო სხვა ბავშვები, როგორც თქვენ გაგვახარეთ. დიდ მადლობას გიხდით მე და ჩემი დაიკო იმ ბედნიერი ახალი წლისთვის,თქვენ რომ გვაჩუქეთ".*



**შეხვედრა მოსახლეობასთან**



**არსენ კეჭაყმაძის დაჯილდოება**

## დიდი მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს!

ჩემს შვილს აქვს გაფანტული სკლეროზი. სჭირდება მუდმივი მკურნალობა და ძვირადღირებული მედიკამენტები, რომლის ხარჯი ჩემს ოჯახს მძიმე ტვირთად აწევს. ჩემი გასაჭირი ვუამბე მაჟორიტარი დეპუტატის პრესსამსახურის უფროსს ქალბატონ ნინო კუკულაძეს, რომელმაც დამაწერინა განცხადება ზვიად კვაჭანტირაძის სახელზე და მომაგროვებინა საჭირო დოკუმენტაცია. დეპუტატმა გულთან მიიტანა ჩემი შვილის მდგომარეობა, მიშუამდგომლა ჯანმრთელობის მინისტრთან, საიდანაც მივიღე ოფიციალური წერილი, რომ ჩემი შვილისათვის მედიკამენტების საჭირო თანხა ჩარიცხულია. დიდი მადლობა დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს ამ სიკეთისთვის!

*ნანი თოიძე,*
*ქალაქი ოზურგეთი*

*გვერდი მომზადებულია პარლამენტის დეპუტატის, ოზურგეთის მაჟორიტარის, ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს მიერ*

## ჩემს საყვარელ სოფელ ოზურგეთელებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!



**სიხარული, ბედნიერება, სიყვარული ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის თანამდევი ცხოვრებაში!**

*პატივისცემით, ბადრი თავდუმაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*აპარატის თანამშრომელი*

## ჩემს საყვარელ ვაკიჯვრელებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!

**გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს!**



**გაიხარეთ!**

*პატივისცემით, ვახტანგ ნიჟარაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ ვაკიჯვრის დეპუტატი*

## სრულიად საქართველოს! გურულებს! გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!



**უფალი ფარავდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს! გაიხარეთ და იბედნიერეთ!**

*პატივისცემით, შალვა კონჯარია,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*ა(ა)იპ "დასუფთავების" სამსახურის უფროსი*

## ჩემო გურულებო! ოზურგეთელებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს,
ხვავსა და ბარაქას!
ახალი 2015 წელი ყოფილიყოს სიახლეების,
წარმატებებისა და წინსვლის დასაბამი!
ყველა ოჯახს დაჰბედებოდეს დიდი სიყვარული,
ლამაზი ოცნებების ახდენა, გამრავლება!

**გამთლიანებულ და ბედნიერ საქართველოში შევცხოვრეთ!**

*პატივისცემით, ბესიკ მელუა,*
*ქალაქ ოზურგეთის მერიის ახალგაზრდობის,*
*სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი*

## ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო! სილაურის მცხოვრებლებო! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!



ხვავს, ბარაქას, სიხარულს, სიყვარულს
და ბედნიერებას გისურვებთ!

**შობის მადლი შეეწიოს თითოეული თქვენგანის ოჯახს!**

*პატივისცემით, გოჩა კილაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ სილაურის მაჟორიტარი დეპუტატი*

## ჩემო საყვარელო სოფელ ოზურგეთელებო! გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!



**გისურვებთ ყველა იმედის გამართლებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!**



*პატივისცემით, ირაკლი ჩხაიძე,*
*სოფელ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი*

## ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, დაბა ურეკში მცხოვრებლებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



**ეს წელი ყოფილიყოს წინსვლისა და იმედიანი განწყობის წელი!**



*პატივისცემით, ბიძინა იმნაიშვილი,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*დაბა ურეკის მაჟორიტარი დეპუტატი*

**ჩემო ოზურგეთელებო!**
**გილოცავთ ახალ წელს!**

**ოცნებების ასრულებას და გამართლებას გისურვებთ ყველას!**



**მუდამ ბედნიერი და გახარებული იყავით ცხოვრების გზაზე!**

*პატივისცემით, გიორგი ჩაგანავა,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*აუდიტის სამსახურის უფროსი*

# გზა იმედისკენ" ბაღდადში

***(გურია ნიუსი, ჩოხატაური)*** _ 18 დეკემბერს, ჩოხატაურის არასამთავრობო ორგანიზაცია "გზა იმედისკენ", ბაღდადის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირმა _ "რწმენა და იმედი (ხელმძღვანელი ზურაბ ნატრიაშვილი), მიიწვია ბაღდადში, სადაც სტუმრების საპატივცემულოდ, ბაღდადის კულტურის ცენტრთან არსებულმა თეატრალურმა დასმა გამართა სპექტაკლი _ "მიტოვებული".

*_ სპექტაკლს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული შშმ პირები ესწრებოდნენ. აღფრთოვანებული დავრჩით წარმოდგენით. სპექტაკლი განმარტოებულ ცხოვრებაზე მოგვითხრობდა, რამაც თითოეულ ჩვენგანზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ემოციებს ვერ ვმალავდით. ეს სტუმრობა, ჩვენთვის, შშმ პირებისთვის დიდი სტიმული იყო. ინტეგრაციისთვის ყველა შშმ პირს სჭირდება საზოგადოების გვერდში დგომა. ჩვენ არ უნდა ვგრძნობდეთ თავს განსხვავებულად, რაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეიმჩნევა. საზოგადოების თანადგომით უნდა ვიგრძნოთ თავი სრულფასოვან ადამიანებად,* _ გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაცია "გზა იმედისკენ" თავმჯდომარემ, ნინო ლომთათიძემ.

ჩოხატაურელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ბაღდადში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაემგზავრნენ.

**დიდი სიყვარულით, უღრმესი პატივისცემითა და სითბოთი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**



**სიკეთე, ბედნიერება, სულის სიმხნევე, ხვავი, ბარაქა დაგბედებოდეთ!**
**გილოცავთ და ვისურვებ ძლიერ, გამთლიანებულ და მშვიდობიან საქართველოში გვეცხოვროს!**

*პატივისცემით, ვლადიმერ სალუქვაძე,*
*ქალაქ ოზურგეთის ა(ა)იპ "სერვისცენტრის" უფროსი*

**ძვირფასო გურულებო! კონჭკათელებო!**
**დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**




**მომავალი წელი ჯანმრთელობის, ბედნიერების, წარმატების წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის ოჯახებისთვის!**

*ტარიელ აროშიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ კონჭკათის მაჟორიტარი დეპუტატი*

**ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, ნატანებლებო!**
**გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!**

**ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ!**
**მრავალს დაესწარით სიყვარულით, ბედნიერებით და ულევი სიხარულით!**



*დიდი სიყვარულით, ზაზა გობრონიძე,*
*ნატანების მაჟორიტარი დეპუტატი*

**ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, ჩვენს ხალხს!**
**განსაკუთრებული სიყვარულით გილოცავთ დამდეგ 2015 წელს!**



**სიახლეებით, წარმატებული სწავლითა და შრომით ბრწყინავდეთ!**
**მრავალჟამიერ!**

*ოზურგეთი, სოფელ მელექედურის*
*საჯარო სკოლის პედკოლექტივი*

# "სისხლი სულ არ აქვთ, ადამიანის შეცოდება არ შეუძლიათ!"

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**"10 თვის შვილიშვილი მშიერი მყავს, დღეს რა ვაჭამო, არ ვიცი. ნახეთ, შემოდით, სად და როგორ ვცხოვრობ, ასეთ გაჭირვებულს რომ არ დაეხმარებიან, ყურადღებას რომ არ მოგაქცევენ, ღმერთის არ ეშინიათ?" _ ასე მოგვმართავდა ქალაქ ოზურგეთში, ჩოხატაურის ქ. #14-ში მცხოვრები პენსიონერი ეთერი მგალობლიშვილი.**

"გურია ნიუსს" თითქმის ყოველდღე მიმართავენ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ადამიანები, რომლებიც თავიანთი გაჭირვების შესახებ ჰყვებიან და ჟურნალისტებს დახმარების იმედით შეჰყურებენ. მოხუცი პენსიონერის სახლში მისი თხოვნის შემდეგ მივედით.

86 წლის ეთერი მგალობლიშვილი შვილიშვილთან, რძალთან და 10 თვის შვილთაშვილთან ერთად სახელდახელოდ აგებულ პატარა ფიცრულში ცხოვრობს. იქ მისულებს, მართლაც, უკიდურესი ყოფა დაგვხვდა _ უსახური ქოხმახი და 10 თვის პატარა შიმშილის ზღვარზე.

მოხუცი პენსიონერის განცხადებით, მან არაერთხელ მიმართა ქალაქ ოზურგეთის მერიას დახმარებისთვის, თუმცა უშედეგოთ.

**ეთერ მგალობლიშვილი**:*"ოთხი სული ვცხოვრობთ ამ პატარა"სარაიაში", ვზრდი ობოლ შვილიშვილს და 10 თვის შვილთაშვილს. სტიქიამ წამართვა ყველაფერი, გამანადგურა, შემომივარდა წყალი, სულ გამინადგურა, რაც მქონდა. არავინ არ მუშაობს ჩემთან, სადაა სამუშაო? ჩემი პენსიის იმედად ვართ. დღეს 10 თვის პატარასთვის საჭმელი არ გვაქვს, ნერვები არ მაქვს, სულ მაკანკალებს.*

*არაერთხელ მივმართე ქალაქ ოზურგეთის მერიას დახმარებისთვის, რამდენჯერმე შემხვდა ქალაქის მერიც, დამპირდა დაგეხმარებიო და მომატყუა. ასჯერ მომატყუეს უკვე, ახლა ხუთშაბათს მივედი მიღებაზე. ალეკო შემხვდა ბურჭულაძე, სიორიძე არ იმყოფებოდა, მიმიღო ბურჭულაძემ, რად გინდა, ვერაფერს ვერ გადავწყვეტო, _ მითხრა. ასე იქნება? ერთი გამაგებინეთ, საერთოდ თუ ეხმარებიან ჩემნაირ გაჭირვებულებს, თუ მარტო მე მექცევიან ასე? სისხლი სულ არ აქვთ. ადამიანის შეცოდება არ შეუძლიათ!*

*ერთადერთი, ვინც მეხმარება და პატარა ბავშვი, ასე ჰქვია, გამაზრდევინა, მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძეა. ვეცოდები, მაგრამ მისი ბრალია. ის არჩევნებზე, აქ ამ უბანში რომ იყო მოსული ხალხთან შეხვედრაზე, მაშინ დამპირდა მოგეხმარებიო, ახლა კი ვარ მის კისერზე ჩამოკიდებული _ საჭმელს ყიდულობს, ყოველდღიურ ფულს მაძლევს. ვეცოდები! მას არ ეკუთვნის ჩემი დახმარება. მრცხვენია, გუშინ მივედი გამგეობაში, ვიტრიალე აქეთ- იქით და ვერ შევედი მერაბისთან, შემრცხვა და დღეს კი მყავს პატარა ბავშვი მშიერი. ასეთ დღეში ვარ.*

*ჩემს გაჭირვებას, რომ არ გაითვალისწინებენ, ეს ადამიანობაა?*

▶9

## მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი! დამდეგი კალანდა!



სურვილების ასრულებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას გისურვებთ!

2015 წელს ხვავი და ბარაქა მოუტანოს თითოეული თქვენგანისთვის!



*გელა ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი*

## ახალი წლის შემობრძანებას გილოცავთ, ბაღდადისა და ცხემლისხიდის მცხოვრებლებო!



განსაკუთრებული წინსვლა და წარმატება დაგებედოთ! ჯანმრთელობა და სიხარული გმოსავდეთ, ჩემო მოსწავლეებო, პედაგოგებო!



*ლალი სიჭინავა, ცხემლისხიდის დეპუტატი ოზურგეთის საკრებულოში, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი*

## მთელ გურიას, სრულიად საქართველოს ვულოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!



ერთიანი და წარმატებული ქვეყანა გვქონოდეს, ჩვენო ქართველებო!

იხარეთ და იდღეგრძელეთ! მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

*დავით სიხარულიძე, "ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია", სოფელი ნატანები*

## დამდეგ 2015 წელს გილოცავთ, ჩემო უსაყვარლესო მოსწავლეებო, მასწავლებლებო!





ეს წელი ხომ ჩვენი ახალი სკოლის მშენებლობის მაცნეა! ზღვა სიხარული მოგევლინოთ! მრავალ ახალ წელს!

*მალვინა ნინიძე, ჭანიეთის საჯარო სკოლის დირექტორი*

# რელიგიის დაფინანსებამ ხმაური გამოიწვია

გოჩა ჯანაშია
გურია ნიუსი

**გასულ ხუთშაბათს, ლანჩხუთის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, გარკვეული პოლემიკა წარმოშვა მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრებში ცვლილების განხორციელების საკითხმა. როგორც მოგეხსენებათ, გამგეობამ ხელახლა შემოტანილ ბიუჯეტში დეპუტატთა გარკვეული შენიშვნები კი გაითვალისწინა, მაგრამ რამდენად აღმოჩნდა ეს საკმარისი, ბიუროს სხდომამ ცხადყო.**

ყველაზე მეტი კამათი რელიგიის მხარდაჭერის მუხლმა გამოიწვია. ამ მუხლში, ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტში, 15 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული და კორექტირების შედეგად კიდევ 10 ათასი დაემატა. თუმცა, ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარის, კახა გუჯაბიძის თქმით, ეს თანხა საკმარისი არაა.

_ *"წინა ხელისუფლების დროს რელიგია 70 ათასი ლარით ფინანსდებოდა და ჩვენ თანდათან ვაკლებთ თანხებს და უკან-უკან მივდივართ. რატომ, არ მესმის! შარშანდელზე არაფერს ვამბობ, წელს რომ იყო იმდენი მაინც არ უნდა გავითვალისწინოთ? რა გჭირთ, ხალხო, მონათლულები არ ხართ, თუ რა ხდება, ვერ გავიგე*", _ ცხარობდა გუჯაბიძე.

დეპუტატს ამ საკითხში მთავარ ოპონენტად გამგებლის პირველი მოადგილე, ვახტანგ ზენაიშვილი მოევლინა, რომელმაც ჩვეული პირდაპირობით გააპროტესტა რელიგიისთვის თანხის გამოყოფა. "*რა დამატებაზეა საუბარი, ბიუჯეტი რელიგიას საერთოდ არ უნდა აფინანსებდეს, ეს საპატრიარქოს პრეროგატივაა. ჩვენ განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროების პროგრამები უნდა დავაფინანსოთ. ჩაიხედეთ კანონში, რაა ჩვენი ექსკლუზივი და მერე ისაუბრეთ. საკრებულოში რომ მოდიხართ, თქვე დალოცვილებო, კანონი არ უნდა იცოდეთ*"? _ თქვა ზენაიშვილმა და სხდომა, პროტესტის ნიშნად, გუჯაბიძესთან კინკლაობის შემდეგ დატოვა.

ბედნიერი ახალი წელი გაგითენდეთ,
ჩემო ბახველებო, ჩემო საყვარელო გურია!



ღმერთმა ბრწყინვალე
მომავალი გარგუნოთ!
ხვავი, ბარაქა, ბედნიერება
იყოს თქვენი თანამდევი!

მრავალჟამიერ!

*ეროდი გორდელაძე,*
*ბახვის დეპუტატი ოზურგეთის საკრებულოში*

ჩვენო ამომრჩევლებო, განსაკუთრებული სიყვარულით
გილოცავთ ახალი 2015 წლის შემობრძანებას!



ერთად ვეცდებით, გავახაროთ,
გვქონდეს ბედნიერი მომავალი!
იხარეთ, იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ!

*ალექსანდრე გოგოძე, ოზურგეთის*
*მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ჩვენი ოზურგეთი"*

# კონკურსის მესამე ეტაპი დაიწყო

1▶

*გამოცდაზე არ გამოცხადდა 42 კანდიდატი.*

*ბარიერი გადალახა და გასაუბრების ეტაპზე გადავიდა 309 კანდიდატი. გასაუბრების ეტაპზე ვერ გადავიდა 59 კანდიდატი*, _ აღნიშნა ჭანუყვაძემ.

მისივე ინფორმაციით, გასაუბრების დროის, ადგილისა და თარიღის შესახებ აპლიკანტებს სატელეფონო შეტყობინების საშუალებით ეცნობათ. საკონკურსო/საატესტაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას 29 დეკემბერს მიიღებს.

დღეს იწყება გასაუბრების ეტაპი ჩოხატაურშიც, რომელიც საკონკურსო/საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, მინდია ჟღერიას ინფორმაციით 24 დეკემბერს დასრულდება.

ოზურგეთისგან განსხვავებით, ჩოხატაურის კომისიამ ჩვენს მედიასახლს გასაუბრებაზე დასწრების და ფოტო /ვიდეო გადაღების უფლება მისცა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი ამის შესახებ კონკურსანტი კომისიას წერილობით აცნობებდა.

*"გასაუბრების ეტაპზე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ, მედიასახლ "გურია ნიუსიდან" წარმომადგენლები და ფოტო/ვიდეო გადაღება დაშვებული იქნება მხოლოდ კონკურსანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.*

*განცხადება წარდგენილი უნდა იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედ საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში 2014 წლის 19 დეკემბრის 18:00 საათამდე"*, _ აღნიშნულია კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

სამწუხაროდ, ეს პასუხი ჩვენ მიერ 10 დეკემბერს შეტანილ განცხადებაზე, კომისიამ 17 დეკემბრის საღამოს, მას შემდეგ გამოგვიგზავნა, როცა გაზეთის მეასე ნომერი სტამბაში დასაბეჭდად იყო გაგზავნილი. შესაბამისად, ვერ შევძელით დაინტერესებული პირებისთვის საკონკურსო/საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება გაზეთის საშულებით გაგვეცნო.

**მინდია ჟღერიას** თქმით, კომისიის გადაწყვეტილება მიღებისთანავე გამოგვიგზავნა:

_ *პასუხი თქვენც გამოგიგზავნეთ და ვებგვერდზეც ავტვირთეთ. მართალია, განცხადებით 10 დეკემბერს მოგვმართეთ, მაგრამ კომისია 17 დეკემბრამდე არ შეკრებილა*, _ გვითხრა ჟღერიამ, რომელსაც კითხვაზე _ ***აქვს თუ არა მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი სარგებლობს ჩოხატაურში ინტერნეტით,*** პასუხი არა აქვს.

_ *ნამდვილად არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, კონკურსანტებმა განცხადებები ინტერნეტის საშუალებით ატვირთეს და, შესაბამისად, ისინი ამ განცხადების წაკითხვასაც შეძლებენ ალბათ,* _ დაგვიზუსტა ჟღერიამ.

ჩოხატაურში 220 მოქალაქე გავიდა ტესტირებაზე, აქედან ზღვარი, რომელიც 33 ქულას შეადგენდა, გადალახა 137-მა, 19 არ გამოცხადდა, დანარჩენებმა კი საჭირო ქულები ვერ დააგროვეს. მინდია ჟღერიას თქმით, ჩაიჭრა გამგებლის 9 წარმომადგენელი, განყოფილების 4 უფროსი, ორი_ სამხედრო კომისარიატში, ერთი _ ადმინისტრაციულ სამსახურში, ერთი კი _ სოციალურ სამსახურში. ჩაჭრილებიდან 15 გამგეობის და საკრებულოს მოქმედი სპეციალისტები არიან.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყება გასაუბრების ეტაპი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. საკრებულოს და გამგეობის კომისიები ოფიციალურ შედეგებს ელოდებიან:

_ *დღეს უნდა მოგვივიდეს ოფიციალური შედეგები. ჯერჯერობით, არ ვიცით, ვინ გადავიდა, ვინ გაასაჩივრა. როგორც კი ეს მონაცემები გვექნება, შეიკრიბება კომისია და გასაუბრების თარიღსაც დავნიშნავთ,* _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გამგეობის საკონკურსო/საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ურუშაძემ.**

ტესტირების ოფიციალურ პასუხებს ელოდებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც, სადაც 5 ვაკანსიაა გამოცხადებული და ამისთვის ცალკე კომისიაა შექმნილი, რომელსაც **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე** ხელმძღვანელობს.

# პოლიცია ხალვაშის ქონებას ეძებს

***(გურია ნიუსი, ლანჩხუთი)*** _ წინა ხელისუფლების დროს ქიბარ ხალვაშისთვის ჩამორთმეული ქონების მცირედი ნაწილი, არაოფიციალური ინფორმაციით, ლანჩხუთშიც მოხვდა. კერძოდ, რამდენიმე წლის წინ "ფორდ-ტრანზიტი" ა(ა)იპ "აგრობიზნეს ცენტრს" გადაეცა, ხოლო ა(ა)იპ "ლანჩხუთი-სერვისს" _ "ივეკოს" სატვირთო. თუმცა, მთავრობის შეცვლამ ბევრი რამ შეცვალა ქვეყანაში და როგორც აღმოჩნდა, ხალვაშიც ცდილობს, შეაგროვოს თავისი ქონება.

ჩვენი ინფორმაციით, გასულ სამშაბათს, ლანჩხუთში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნული ფაქტის შესასწავლად, რომლებიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ და ხალვაშის, ლანჩხუთში გადმომისამართებულ ქონებასაც გადაუღეს ფოტოები.

ინფორმაციაში დეტალურად გარკვევისთვის, ჩვენ გამგეობის ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელს, ვახტანგ შალიკაშვილს დავუკავშირდით. მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა და თავის მხრივ, გამგეობის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების გამგესთან, მაკა სულაბერიძესთან გადაგვამისამართა. სულაბერიძემ დაგვიდასტურა, რომ ფინანსური პოლიცია, მართლაც დაინტერესებულია აღნიშნული ფაქტით, თუმცა, მათ მიერ გამგეობაში მოძიებული დოკუმენტაციით, გაურკვეველია, თუ ვინ და საიდან გადმოსცა მუნიციპალიტეტს ეს ორი მანქანა.

გურია NEWS

# "სისხლი სულ არ აქვთ, ადამიანის შეცოდება არ შეუძლიათ!"

7▶

*რას არ ვეხვეწები, რას არ ველმერთები, მშიერი მყავს პატარა და მომეხმარეთ-მეთქი და არაფერი. სოციალური დახმარება მოხსნილი მქონდა, რადგან თურქეთში გადავიდა ჩემი შვილიშვილი და მეორე დღესვე დაბრუნდა, ამის გამო მქონდა შეჩერებული. ახლა აღმიდგინეს და იმაშიც მერაბი მომეხმარა.*

*გამოტანილი მაქვს მთელი ერთი წლის პენსია, რა ვაჭამო ბავშვებს, არ ვიცი.*

*მოხარშული კარტოფილი მაქვს ამ დილით, ზეთიც არ მქონდა, ასეთ გაჭირვებაში ვარ, საჭმელს სად და როგორ ვშოულობ, კაცმა არ იცის.*

*8 ცალ თუნუქს ვეხვეწები და იმას არ მაძლევენ. ძალიან გთხოვთ, ხუთშაბათს წამყევით მერთან მიღებაზე და თქვენ თვალწინ გამცეს პასუხი, რატომ არ მეხმარებიან",* _ გვითხრა ატირებულმა მოხუცმა.

"გურია ნიუსი" შეეცადა **ვიცე მერს, ალეკო ბურჭულაძეს დაკავშირებოდა,** მაგრამ მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა **ქალაქ ოზურგეთის მერის მოადგილემ, კობა დუნდუამ**. მისი განცხადებით 86 წლის მოხუცს ქალაქის მერია სამშაბათს შეშით დაეხმარება.

_ *"როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ქალბატონ ეთერ მგალობლიშვილს განცხადება შემოტანილი აქვს შეშით დახმარებაზე, რასაც უზრუნველყოფს ქალაქის მერია და მას შეშით დაეხმარებიან სამშაბათს, სხვა სახის ინფორმაცია ამ ეტაპზე მე არ მაქვს",* _ გვითხრა კობა დუნდუამ.



**ამ სახლში ცხოვრობს ეთერ მგალობლიშვილი** | ფოტო: დავით ჩხიკვაძე

---



ღირსებით დატვირთულ პიროვნებას, უამრავი მედლის, სიგელის, ღირსების ორდენის მფლობელს, მრავალი თაობის აღმზრდელს

**ქალბატონ ვარდო თოდრიას 85 წელი შეუსრულდა!**



ვულოცავთ ამ დიდებულ თარიღს!
ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და მხეგრძელობას ვუსურვებთ!
კვლავაც ლამაზი ჰანგებით ატკბობდეთ მსმენელს!

*დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომლები*

---

**ძვირფასო ოზურგეთელებო,**
**გულწრფელი სიყვარულით, კეთილი სურვილებით**
**გილოცავთ შობა-ახალ წელს!**





**სიკეთე და უფლის რწმენა გინათებდეთ გზას!**
**იმედი და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ**
**თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს!**

*პატივისცემით, დიმიტრი კვერღელიძე,*
*ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

---

**ჩემი მშობლიური სოფლის,**
**შრომის მოსახლეობას**
**განსაკუთრებული სიყვარულით**
**ვულოცავ ახალი 2015 წლის შემობრძანებას!**



**შრომის და განათლების ძალით გევლოთ ნათელ მომავალში! იბედნიერეთ!**



*დავით ჭაკნელიძე,*
*სოფელ შრომის დეპუტატი ოზურგეთის საკრებულოში*

---

**ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო!**
**გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

**მშვიდობის და კარგად ყოფნის,**
**შვილიანობის, ღვინიანობის, პურიანობის,**
**შეძენის, ხვავ- ბარაქისა და წარმატებების**
**წელი ყოფილიყოს!**



**უფალი გფარავდეთ!**



*პატივისცემით, ვასილ ჩიგოგიძე,*
*ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*

სამრეკლო რუბრიკას უძღვება დავით ჯიბლაძე

# კვირის საეკლესიო კალენდარი

22 დეკემბერი _ მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა; წინასწარმეტყველისა ანასი, სამოელ წინასწარმეტყველის დედისა (1100 წ.ქრ.წინ); სოფრონისა, კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა (VI); ღირსისა სტეფანე ახლადგაბრწყინებულისა (X).

23 დეკემბერი _ ხსენება მოწამისა მეფისა ვახტანგ III-ისა, წმიდამეფის დემეტრე თავდადებულის ძისა (1302-1308); მოწამეთა: მინასი, ერმოგენისა და ევგრაფისა (313); ღირსისა თომასი (X); იოასაფისა ბეგოროდელი ეპისკოპოსისა (1754).

24 დეკემბერი _ ხსენება ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა; ღირსისა დანიელ მესვეტისა (489-490); მოწამეთა აკეფსესი და აითალასი; ღირსისა ლუკა მესვეტისა (970).

25 დეკემბერი _ ხსენება სპირიდონისა, ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსისა სასწაულმოქმედისა (348); ღირსმოწამისა იოანესი, ზედაზნის წინამძღვრისა, სარკინოზთაგან წამებულისა (IX); მოწამისა სინეზისა (თეიმურაზისა, 270).

26 დეკემბერი _ ხსენება მოწამეთა: ევსტრატისა, ევგენისა, მარდარისა, და ორესტისა (IV); ქალწულმოწამისა ლუკიასი (304); ღირსისა არსენ ლატრელისა (VIII-X).

27 დეკემბერი _ მოწამეთა: თვირსოსი, ლევკიოსისა და კალინიკესი (III); მოწამეთა: ფილიმონისა, აპოლონისა, არიანესი და თეოტიქესი (286).

28 დეკემბერი _ წმიდათა მამამთავართა კვირიაკე. მღვდელმოწამისა ელევთერისა და დედისა მისისა მოწამისა ანთიასი და მოწამისა კორივი ეპარქოსისა (II); ღირსისა პავლე ლატრიელისა (955).

# ილია II-ის ეპისტოლეებიდან

ჩვენთან ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ უფლებებზე, მაგრამ ძალიან ნაკლებად _ მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ყველას აქვს არა მარტო უფლება, არამედ პასუხისმგებლობაც. პასუხისმგებლობა უფლის, სამშობლოს, ოჯახის წინაშე, გაჭირვებული თუ დაცემული მოყვასის წინაშე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თუ პირადული ცოდვა (რომელსაც სწავლების სახე არა აქვს) მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდის პრობლემაა და ღვთის წინაშე მის საბოლოო ხვედრს განსაზღვრავს, საჯაროდ ცოდვის სწავლება და დანერგვა მთელ საზოგადოებას რყვნის და ღუპავს, ღირსების გრძნობას ულახავს და წინსვლის სურვილს უკარგავს. ამიტომ საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას, როგორც თავისი თავი, ისე შთამომავლობა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ მხრივ ხელისუფლებას ეკისრება.

***

ჩვენი ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გადაგვარება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება და ამაში დიდ როლს, სამწუხაროდ, მასმედია ასრულებს.

მასმედიის სახელს მრავალი კარგი საქმეც უკავშირდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტელეგადაცემებით და პრესითაც ხდება ცოდვის დემონსტრირება, ლეგალიზება და იმ აზრის დამკვიდრება, თითქოს ეს ადამიანის ჩვეულებრივი თვისებაა.ხდება ავხორცობისა და ულირსების არა მარტო მისაღებ, არამედ სამაგალითო მოვლენად წარმოჩენა; იქმნება უზნეო, ცრუ ავტორიტეტები, რომელნიც თავიანთი ანტიეროვნული ქმედებების გამო, წახალისებულნი და დაჯილდოვებულნი არიან.

***

ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ "რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმიდას" (გრიგოლ ორბელიანი), ამიტომ უყვარათ თავისი ენა საქართველოს გულკეთილ შვილებს.



**გთხოვთ, გაზეთის ამ გვერდს მოუფრთხილდეთ მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

---

**დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით_ მაცივარი, სასახლე, მიცვალებულის გაპატიოსნება, საჭიროების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.**
**ჩოხატაური, ტელ: (593) 531391, (599) 784506.**
**ამირან ჭეიშვილი.**

**დაგიმზადებთ მეტალოპლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯრებს, ჟალუზებს, ვიტრაჟებს, მინას, მინა პაკეტს, მწერებისგან დამცავ ბადეებს. ვაკეთებთ განვადებასაც.**
**(558) 775513, (551) 769067.**
**სოსო.**

**ვიბარებ ღორებს, გოჭებს, ბურვაკებს უმაღლეს ფასებში.**
**ტელ: (595) 242327, (599) 384084.**

## უფასო განცხადებები

### იყიდება!

სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ფანჯრები (113/104 და 120/88-ზე), ორფრთიანი კარი, ჩარჩოს გარეშე (225/100-ზე).
ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

4 ცალი, 500-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი _ 300-ლიტრიანი, ერთი _ 2-ტონიანი კასრები და საწნახელი. აკაციის ბოძები 3,5 მ-იანი. ღვინო "ცოლიკაური" ფეთქი და ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა, 10 ცალი, 28-იანი, 10 მ-იანები. ცომის საზელი 2 ჩანი, ელექტრო ძრავი, სხვადასხვა ბრუნვისა და კვტ-იანი. 100 მ. 20-იანი და 50 მ. 32-იანი მილები.
ტელ: (551) 328714.

რუსული წარმოების ახალი ელექტრო ძრავი, 15,5 კვტ-იანი, 970 ბრუნით.
ჩოხატაური, დოლიძის 10.
ტელ: (599) 166389.

სამზარეულოს მაგიდა, ახალი, 6 ადგილიანი, 140/ 90-ზე.
ჩოხატაური, ტელ: (551) 093080.

აკაციის მესერი.
ჩოხატაური, სოფ. ამაღლება.
ტელ: (558) 133005, (551) 110591.

ჯართის მოსაძებნი აპარატი.
ტელ: (555) 461686, (591) 407616.

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (595) 536794.

ტაროს საფქვავი წისქვილი.
ტელ: (568) 013939.

აკაციის და ბამბუკის მესერი 1,55/1,60-ზე. კივის 3 წლიანი ნერგები.
ტელ: (593) 263738.

შეშა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 153869, (597) 045405.

სასიმინდე, რკინის კარკასი, ალუმინის სახურავი, უჟანგი მასალის კედლებით. ტელ: (551) 005826.

ჩეხური წარმოების გაზის გამათბობელი "კარმა", საუკეთესო მდგომარეობაში.
ტელ: (557) 900225, (593) 309320.

ცილინდრული ფორმის უჟანგი ავზი, 1.2 ტონა ტევადობის, კედლის სისქე 8 მმ. ტელ: (551) 505883.

შეშა. გოჭები. დივან-სავარძლები.
ტელ: (593) 254528.

წაბლის ხის მასალა სხვადასხვა ზომის, ავეჯისთვის. ტელ: (599) 639939.

ნაძვის მასალისგან ნაშენი სათავსო 4/6-ზე, თუნუქის სახურავით. რკინის ("ბურაოს") მილები 70მმ/10მ. ოთკუთხა რკინის ბოძები 4/120-ზე. რელსები 8მ/120მმ-ზე. ტელ: (595) 973199.

საღუმელედ დამუშავებული რცხილას შეშა.
ჩოხატაური, ტელ: (551) 115291.

რცხილას შეშა. ჩოხატაური, სოფ. ვაზიანი, ტელ: (557) 701651.

საღუმელედ დახერხილი ერთი მანქანა შეშა. ტელ: (593) 187258.

საღუმელედ და დამუშავებული წიფელას და რცხილას შეშა. ადგილზე მიტანით. ტელ: (591) 614416.

რცხილას შეშა. ჩოხატაური, სოფ. გოგოლესუბანი, ტელ: (577) 770168.

რცხილას და თხმელას შეშა. ტყავის ბრეზენტი 12 მ. 3 მ. სიგანის.
ტელ: (577) 235416.

საკერავი მანქანა. ავერლოკი.
ტელ: (555) 625864.

"ლისტვენიცის" კარი, 4 ცალი, ახალი. 3 ცალი ცაცხვის ხის კარი და მეორადი თაღი. ტელ: (558) 910346.

ცემენტის ბოძები. ტელ: (557) 171851.

2 კბმ. წაბლის სხვადასხვა ზომის ხმელი მასალა.
ტელ: (568) 880511, გურამი.

აზბესტის მილები, 4 მ. 40 სმ-იანები.
ტელ: (595) 604133.

სახლი, დაბა ჩოხატაურში, ცენტრთან ახლოს, მისასვლელი ქუჩა ასფალტირებულია, სახლში შეყვანილი გაზით, წყალი ჭიშკრამდე მიყვანილი. 3200 კვმ. ეზოთი, მდინარესთან ახლოს, თხმელის ტყითა და მსხმოიარე თხილებით გაშენებული. ფასი შეთანხნებით.
ტელ: (599) 374715; (593) 415147.

სასწრაფოდ, ჩოხატაურის რ-ის, სოფ. ზემოსურებში ერთ ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი, საკუთარი ტყით, გაშენებული ხეხილითა და თხილით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (595) 500040.

ჩოხატაურის ცენტრში, ეკლესიის წინ, 2000 კვმ. მიწის ნაკვეთი, შემოღობილი, ყველა სახის ხილის და თხილის ნარგავებით, წყლისა და გაზის შეყვანის პერსპექტივით.
ტელ: (558) 444503.

1000 კვმ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სახლის ფუნდამენტი ჩასხმულია, კაპიტალური ღობით. ჩოხატაური, ყოფილი #2 ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე, ტელ: (599) 538615.

2-სართულიანი, კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი. ბუნებრივი აირით. ჩოხატაური, სოფ. ახალშენი, ტელ: (591) 287441.

2 სართულიანი სახლი, გაზის შეყვანის პერსპექტივით, ხეხილიანი ეზოთი. ჩოხატაური, სოფ. ქვემოერკეთი.
ტელ: (598) 720042, (551) 183482.

სასწრაფოდ, ჩოხატაურის ცენტრში კომერციული ფართი.
ტელ: (593) 269346.

ჩოხატაურში, დუმბაძის 25-ში, პირველი სართული (ყოფილი სტამბა).
ტელ: (593) 757254.

ავტომანქანა "გაზ 52", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (593) 567446.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახია 2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით, 4000 კვმ. სამოსახლო მიწის ნაკვეთით. შეიძლება, გაიყიდოს ნაწილ-ნაწილადაც. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა.
ტელ: (599) 328153, (593) 175812. ლილი.

ქ. ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, კაპიტალური სახლი. ფასი შეთანხმებით. ტელ: (598) 284418.

1500 კვმ. მიწის ნაკვეთი, დარეგისტრირებული როგორც სამოსახლო ისე კომერციული საქმიანობისთვის. ეზოში შეყვანილია ბუნებრივი აირი.
ჩოხატაური, სოფ. ხიდისთავი, ტელ: (593) 614111, (599) 218849.

5000 კვმ. მიწის ნაკვეთი. "პავლონიის" ნერგები. ტელ: (593) 938198.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი".
ტელ: (577) 782882.

ავტომანქანა "გაზ 66".
ჩოხატაური, სოფ. ამაღლება, ტელ: (557) 033020, (595) 455039.

ავტომანქანა "უაზი".
ტელ: (577) 782882.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტის" ძრავი, საუკეთესო მდგომარეობაში, დიზელზე, დიფერი, საბარგული, "სიდენიები". ტელ: (558) 447300.

ცოლიკაურის, ჩხავერის, საფერავის, ციცქას, ხარისთვალას ნერგები.
ტელ: (599) 287073.

კარგი ჯიშის 2,5 წლის, 2 თვის, მაკე უშობელი. ჩოხატაური, სოფ. გუთური.
ტელ: (790) 559186, (557) 560726.

მამალი ცხენი, გამოწმენდილი, 8 წლის, თვითმცლელი ურიკით, სახნავითა და ფაცხით.
ტელ: (551) 230960, (579) 230960.

კივის ნერგები.
ტელ: (555) 405535.

კარგი ხარისხის ღვინო "ცოლიკაური", 2 წლის.
ტელ: (593) 743218.

ღვინო "ცოლიკაური", 230 ლიტრი.
ტელ: (597) 917122, (555) 170699.

სამი სული ხბომოსაყვანი დეკნა.
ტელ: (551) 008195, ნარგიზ თედორაძე.

მაკე ძროხა.
ჩოხატაური, ტელ: (577) 926243, (595) 094669, (790) 220419.

6 თვის მაკე ძროხა, მეორე ხბოობა, 6 ლიტრი წველადობით.
ტელ: (555) 149015.

მოზვერი 130 კგ-იანი. 2 წლის უშობელი. კარგი ჯიშის.
ტელ: (555) 350189, (790) 950189.

### შევიძენ!

მეწველ ძროხას, მეორე ხბოობას, 10 ლიტრი წველადობით.
ტელ: (593) 502491, (790) 502493.

50 მმ-იან, 10 მ. რკინის მილს.
ტელ: (558) 581087.

მეორად შიფერს ან თუნუქს, ნაძვის ხის ხმელ ბალკებს, 2 ცალს, 3 მ-იანებს. 50 ცალ მეორად ბლოკს.
ტელ: (593) 112008.

### ქირავდება!

ჩოხატაურის ცენტრში, ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, 2-სართულიანი საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე, 2-ოთახიანი ბინა.
ტელ: (599) 334065.

თბილისში, თავისუფლების მოედანთან, 1-ოთახიანი ბინა, მე-3 სართულზე, იტალიურ ეზოში.
ტელ: (593) 247975, (790) 202754.

### ყურადღება!

ვანი-სამების ტერიტორიაზე დამეკარგა ტახი ღორი, ჭრელი, 60 კგ-მდე, უკუდო.
მპოვნელი დასაჩუქრდება.
ტელ: (593) 517838.

**უფასო განცხადების ტალონი №101**

--------------------------------------------------------

--------------------------------------------------------

ტელეფონი: ------------------------------------------------



მაგული, რეზო ჯამბერიძე-ები, რძალი დარეჯან შანიძე, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით, დიდი გულისტკივილით და ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დის

**ირა მიხეილის ასული ჯამბერიძე-დოლიძის**

გარდაცვალებას.

დაგვაკლდა ადამიანი, რომელმაც თავისი სიკეთე და დიდი სიყვარული დაგვიტოვა.
პანაშვიდი: 22 XII, 17 საათზე.
დაკრძალვა: 23 XII, 15 საათზე.
ჩოხატაური, სოფელი შუა ამაღლება.

## სოსო სიხარულიძე



40 დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. ძალიან დაგვაკლდი ყველას, შენ იყავი ალალ-მართალი ადამიანი. მოულოდნელი იყო შენი უეცარი გარდაცვალება. ვერაფერი შეავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. უფალმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი ოჯახის მწუხარება გაიზიარა.

*მეუღლე და შვილები*



ქალბატონ მაგული ჯამბერიძეს!
ვიზიარებ თქვენს უნაპირო მწუხარებას საყვარელი დის ქალბატონი
**ირას**
გარდაცვალების გამო.

*მანანა სურმანიძე*



ნანი, მამუკა, მიხა დოლიძეები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ ლამარა, მიშიკო დოლიძეებს ძმისა და საყვარელი მამის
**გენო დოლიძის**
გარდაცვალების გამო.



ელგუჯა, თენგო, ზაურ შარაშიძეები ოჯახებით იუწყებიან
**თინა შარაშიძის**
გარდაცვალებას.



**ალიოშა და ლიანა პაიჭაძეებს!**
ჩაქურა დოლიძის ოჯახი იზიარებს თქვენს მწუხარებას დისა და მულის
**ტატიანას**
გარდაცვალების გამო.



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს ქალბატონ მაგული ჯამბერიძეს საყვარელი დის
**ირას**
გარდაცვალების გამო.

## მადონა (ია) სომონიშვილი



ძნელი ყოფილა უშენობა, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა. დააკლდი შვილებს, მეუღლეს, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს... შენს დანაკლისს იმ მოგონებებით ვივსებთ, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა. არის ტკივილი, წამალი რომ ვერ აყუჩებს, არის ჭრილობა, მალამო რომ ვერ მოაშუშებს, არის ხსოვნა, წლები რომ ვერ გააფერმკთალებს. ეს შენ ხარ, ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო მადონა (ია). არის ადამიანები, რომელთა გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს. შენ წასული ხარ, მაგრამ არა ხარ დავიწყებული. გვიჭირს შენზე წარსულში საუბარი, რადგან შენ ყოველთვის ჩვენს გულებში ცოცხლად დარჩები. ჩვენ ისღა დაგვეჩენია, ვილოცოთ. გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ ყველას. ნათელი და სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

*ზოია, ბუხუტი, ცისია, ნიკოლოზი*



გივი, სოფო კვინტრაძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან საყვარელი პიროვნების
**მაია დუმბაძე-დოლიძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გელა დუმბაძის და თეიმურაზ დოლიძის ოჯახებს და ახლობლებს.



გივი, სოფო კვინტრაძეები სამძიმარს უცხადებენ ხათუნა, ილო კვინტრაძეებს დისა და ცოლისდის გარდაცვალების გამო.



ალეკო ბურჭულაძე ოჯახით იუწყება
**გენო დოლიძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

ვალოდი ბერაიას ოჯახი იუწყება
**იზოლდა ჯაში-ბერაიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

## მიტუშა (დიმიტრი) ლიპარტელიანის გახსენება



გავიდა ორმოცი ცრემლიანი, ნაღვლიანი დღე, ჩვენთვის ორმოცი წელია. ყველა წუთში შენს მოგონებაში ვართ. შენთვის ვილოცებთ, შენს საფლავზე ავანთებთ სანთლებს. ჩვენ ყოველთვის მოგიგონებთ. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. უფალი იყოს შენი სულის მფარველი.

*დედა დოდო,
მეუღლე ლამარა, შვილი მიშიკო*

## გიორგი სანიკიძე





გოგი ძამია, 8 თვეა, შენი ხმა არ გამიგონია. როგორ მენატრება შენთან საუბარი, ჩემო თბილო ძმაო. როგორ ვეხვეწეთ უფალს, შენ ცოცხალი მყოლოდი და კიდევ არ გავმწარებულიყავი. დავიღალე, ძამიკო, ამდენი ფიქრით და მონატრებით. რომ იცოდე, როგორ მინდა თქვენთან ყოფნა, ჩემო შუტუ, დედ-მამავ, ჩემო იური, ნაზი. როგორ გავუძლო თქვენს არყოფნას. ყველანი ახაგაზრდები წახვედით ამ ქვეყნიდან. დღე არ გავა, თქვენზე რომ არ ვიფიქრო. ამ დროს ცოცხალი იყავი. ახალ წელს თბილისში, შვილთან შეხვდი, ახლა სად მყავხარ, ძამიკო. იძინე მშვიდად, შენს მეუღლესთან, დასთან, დედ-მამასთან, სიძესთან. ჩვენ მიერ ანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

*თქვენი ნანი*

## გურამ გიორგაძის მონატრება



გავიდა ერთი წელი, რაც ოჯახს, ახლობლებს გამოაკლდი. ცრემლით, სიყვარულით გიგონებთ. როგორ გაიხარებდი შვილიშვილის, პატარა ნინიკოს შეძენას რომ მოსწრებოდი. გილოცავთ სასუფეველში. გჯეროდეს, შენი დათო შენს სახელს ღირსეულად ატარებს. ჩვენს გულებში შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთს შევავედრებთ შენს სპეტაკ სულს.

*ოჯახი და და ელიზა გიორგაძე*



**ლამარა, ლია, გია, თეიმურაზ დოლიძეების ოჯახებს!**
ვიზიარებთ თქვენს უდიდეს მწუხარებას მეუღლისა და რძლის
**მაიკოს**
გარდაცვალების გამო.

*რომან ოსეფაიშვილი ოჯახით*



იური დოლიძე ოჯახით იუწყება
**გენო დოლიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.



როლანდ, ნონა ჯინჭარაძეები ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყებიან
**გენო დოლიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



ზვიად თურმანიძე იუწყება საყვარელი მამიდას
**ელზა ქლენტის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

## ემზარ ცეცხლაძის მონატრება



"ვინც ღმერთებს უყვარს, უდროოდ კვდება!", მაგრამ რას ვიზამთ, მოკვდავნი ამ შემთხვევაში უძლურნი ვართ, რადგან "ბუნება მბრძანებელია". ცხრა თვე გავიდა, რაც ჩვენგან მოულოდნელად წახვედი. დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი, უსაზღვრო მონატრება! 29 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, გილოცავთ ჩვენო სამარადისო დარდო და სევდავ, თვალის ჩინო. ძნელია უშენობა, თბილო, ყურადღებიანო, ჩემო ვაჟკაცო. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის. ბუნებით ყოველთვის კაცთმოყვარე და ღვთის მოყვარული იყავი. ჩემო ემზარ, შენ ხომ სიცოცხლე გიყარდა, მაგრამ გულმა გიღალატა, სიკვდილმა შენი თავი წაგვართვა. დიდი სიყვარულით გიხსენებენ ავთო, მამუკა, მარინა. ცრემლიან ლამაზ ყვავილებს გიფენენ სასაფლაოზე და უფალს შესთხოვენ სიმშვიდე დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველში. გვეამაყება, რომ ყველა გაფასებს, გიგონებს, შენს საფლავზე მოდიან მეგობრები, ახლობლები და ყველა, ვინც გიცნობდა. თვალზე ცრემლი არ შრება არასდროს. გწამდეს, შვილო, შენი დავიწყება არასდროს იქნება. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და ღამდება, შენზე მოგონებებით გავატარებთ ამ გამწარებულ სიცოცხლეს. გილოცავ, ემზარ შვილო, დაბადების დღეს, უფალს ვევედრები, ნათელში გვიმყოფოს შენი სუფთა და ნათელი სული.

*ოჯახი*



იური კალანდაძის ოჯახი დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ქეთინო, ამირან კაკურიებს, ყველა ჭირისუფალს სიძის
**შოთას**
გარდაცვალების გამო.

*ნანი, ელზა, კახა, პაატა კალანდაძეები*

ჟენია ხაბეიშვილი თანაუგრძნობს ხათუნა და ილო კვინტრაძეების ოჯახს
**მაია დოლიძის**
გარდაცვალების გამო.



ლამარა დოლიძე, დემირა ელიაშვილი, მუხრან, მიშიკო სიხარულიძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან
**მაია დუმბაძე-დოლიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ თეიმურაზ დოლიძის ოჯახს.



იური დოლიძე ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყება
**მაია დუმბაძე-დოლიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს თეიმურაზ დოლიძის ოჯახს.

გაზეთ **"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს **ელზა თემურის ასული ბაირამოვა-ქლენტის,** ირა მიხეილის ასული ჯამბერიძე-დოლიძის გარდაცვალების გამო.



და როზა ბერაძე, დისშვილები მარინა, მაია, ნინო, ნანა ოჯახებით იუწყებიან საყვარელი დის და დეიდას
**ელზა ბაირამოვა-ქლენტის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, ახლობლებს.

## მადონა (ია) სიმონიშვილი-ცინცაძე



სიკვდილი არ არსებობს, არსებობს გარდაცვალება და შენი სიკვდილი შენი ლამაზი სიცოცხლის დასასრული არ ყოფილა, რადგან დატოვე ოჯახი, მეუღლე, შვილები, რძლები, შვილიშვილები, რომლებიც შენი უკვდავების გაგრძელებაა. ეს ის წუთებია, როცა სიტყვები აღარაფერს ამბობენ და გრძნობები გულის კედლებს უგზო-უკვლოდ ენარცხებიან. ძალიან გვიმძიმს შენი დაბადების დღე უშენოდ აღვნიშნოთ და მხოლოდ შენი საფლავის ქვას მოვეფეროთ, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. შენ არ დაგცალდა შენს ოჯახთან გახარება და ჩვენ კი შენი მზრუნველი ხელი მოგვაკლდა. შენ მხოლოდ ჩვენს თვალებს აკლიხარ, გულში კი მუდამ ცოცხალი და ისეთივე ხალისიანი იქნები. ცრემლებით გილოცავთ იუბილეს და უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროს სასუფეველი, ამინ!

*მეუღლე, შვილები, რძლები, შვილიშვილები*



შვილები გულნაზი, თამარი, ლია, ირინა, სიძეები სოსო ასლამაზაშვილი, თენგო დოლიძე, გია დოლიძე, ლაშა გორგოძე, შვილიშვილები ლიზი, გიორგი, ირაკლი, გიორგი, რეზო, რაინდი, შვილთაშვილები მარიამი და გია, და როზა ბერაძე, მული გოგუცა ქლენტი, რძლები იზო, როზა, გვანცა, ზოია, სიძე გიორგი მგელაძე, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან
**ელზა თემურის ასული ბაირამოვა-ქლენტის**
გარდაცვალებას.
დაკრძალვა: 23 XII, 15 საათზე.
ჩოხატაური, სოფელი გუთური.

რომან ოსეფაიშვილი თანაუგრძნობს ლამარა დოლიძეს ძმის
**გენოს**
გარდაცვალების გამო.



როლანდ, ნონა ჯინჭარაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ თეიმურაზ დოლიძის ოჯახს რძლის
**მაიკოს**
გარდაცვალების გამო.



სულიკო მახარაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ქალბატონი
**ირა ჯამბერიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, დედმამიშვილებს, ყველა ახლობელს.

იკითხეთ
გურია NEWS

# "ბარსელონას" 10 ყველაზე ცუდი ტრანსფერი




ბოლო პერიოდში, საფეხბურთო სამყაროში არაერთი ტრანსფერი ხორციელდება. სხვადასხვა გუნდები თანხებს არ იშურებენ, რათა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებმა ითამაშონ მათ კლუბებში.

ამჯერად, გთავაზობთ ისტორიას "ბარსელონას" სატრანსფერო ბაზრის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცუდია საფეხბურთო სამყაროში.

**1. ზლატან იბრაჰიმოვიჩი**

2009 წელს "ინტერიდან" "ბარსელონაში" ზლატან იბრაჰიმოვიჩი გადავიდა, რომელშიც კატალონიურმა გუნდმა 40 მილიონთან ერთად სამუელ ეტოოც გაიღო. იმ დროისთვის კამერუნელი ფორვარდი, ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, თუმცა, მოულოდნელად ის გაუშვეს 40 მილიონიც დაამატეს და ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდეს. ტრანსფერი კრახით დასრულდა, რადგან ზლატანმა მხოლოდ 1 სეზონი გაატარა გუნდში, რის შემდეგაც "მილანში" გადავიდა.

**2. ცესკ ფაბრეგასი**

ცესკ ფაბრეგასმა "ბარსელონა" 2003 წელს დატოვა, რის შემდეგაც "არსენალის" პირველ გუნდში ერთი თვის ვადაში მოხვდა. მაშინვე დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ეს ფეხბურთელი უნდა დაბრუნებულიყო მშობლიურ კლუბში. რამდენიმე წელი მიმდინარეობდა ცესკის ტრანსფერზე მოლაპარაკებები, რის შემდეგაც საბოლოოდ 2011 წელს დაუბრუნდა ის კატალონიას. ესპანელი ნახევარმცველი 30 მილიონი ევრო დაუჯდა გვარდიოლას გუნდს, თუმცა, მან მხოლოდ 3 წელი გაატარა სამშობლოში. ყველასათვის მოულოდნელად გუნდის ხელმძღვანელობამ ცესკ ფაბრეგასი გაუშვა და მის სანაცვლოდ, ივან რაკიტიჩი დაიმატა. მიზეზი? ბართომეუმ განაცხადა, რომ ცესკი სათამაშო დონეს კარგავდა, თუმცა, აგერ წელს უკვე 15 საგოლე გადაცემა გააკეთა მან და პრემიერ ლიგის რეკორდსაც უახლოვდება.

**3. ლუის სუარესი**

იმის ფონზე, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში "ბარსელონაში" თამაშობდნენ ისეთი დონის ფორვარდები, როგორებიც არიან (იყვნენ): სამუელ ეტოო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დავიდ ვილია, ალექსის სანჩესი... მათ ვერცერთმა ვერ აჩვენეს ის თამაში, რომელსაც ადრე იყვნენ მიჩვეულები. ამის მიზეზად კი ლიონელ მესი სახელდება. აშკარაა, რომ "ბარსელონაში" ერთპიროვნული ფორვარდი და ლიდერი მესია და სწორედ მას სურს, რომ მთავარი გოლეადორი იყოს, რის გამოც ყველა სხვა ფორვარდი ვერ ბრწყინავს. მაგალითად, სანჩესი "ბარსადან" წასვლის შემდეგ, "არსენალში" საკმაოდ კარგად ათამაშდა. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გაცილებით უკეთ ითამაშა "მილანსა" და "პსჟ"-ში, ვიდრე "ბარსელონაში". სწორედ ეს წინაპირობები იძლევა იმის საბაბს, რომ სუარესის ტრანსფერიც კრახს განიცდის ახლო მომავალში. ღირდა 80 მილიონის გადახდა ფორვარდში, მაშინ, როდესაც გუნდში მესი გყავს? ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კატალონიურ გუნდს სხვა პოზიციებისთვის უნდა დაეხარჯა ეს ფული. სეზონის სტარტს თუ შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ სუარესი "ლივერპულისგან" განსხვავებით, გაცილებით დაბალ დონეზე ასპარეზობს, მას ჯერ ლა ლიგაში 1 გოლიც კი არ გაუტანია. დასკვნა: რა თქმა უნდა, სუარესი უმაღლესი კლასის ფორვარდია და ის რაღაც დონეზე მაინც ითამაშებს გუნდში, თუმცა 80 მილიონად ღირდა თუ არა მის იყიდვა საკითხავია.

**4. ალექსის სანჩესი**

2011 წელს ალექსის სანჩესი "ბარსელონაში" "უდინეზედან" გადავიდა. მისი ტრანსფერი საბოლოოდ 40 მილიონ ევრომდე დაჯდა, თუმცა აშარაა, რომ მან ვერ აჩვენა ის თამაში ესპანეთში, რასაც იტალიაში აჩვენებდა. ჩილელმა ფორვარდმა მხოლოდ 3 წელი გაატარა ესპანურ გრანდში, რის შემდეგაც მიხვდა, რომ მისი ადგილი იქ არ იყო და გუნდს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა.

**5. ჟერემი მატიე**

იშვიათია გუნდი, რომელიც 31 წლის ფეხბურთელში 25 მილიონ ევროს იხდის. ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, "ბარსელონამ" "ვალენსიადან" ჟერემი მატიე იყიდა, რომელიც 31 წლის გახლავთ. აშარაა, რომ სეზონის სტარტში, ფრანგი მცველი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია კატალონიურ გუნდში. საუბარი მიდიოდა დავიდ ლუიზსა და ტიაგო სილვაზე, თუმცა, "ბარსელონას" საბოლოოდ მატიე შერჩა ხელში.

**6. ტომას ვერმაელენი**

ამ სეზონში, "ბარსელონამ" ტომას ვერმაელენსა და ჟერემი მატიეში დაახლოებით 45 მილიონი ევრო გადაიხადა ჯამში, თუმცა ვერცერთა ვერ აჩვენა ის თამაში, რასაც ელოდა გუნდის ხელმძღვანელობა.

**7. ალექს სონგი**

2012 წელს "ბარსელონამ" ალექს სონგი იყიდა, რომელიც 20 მილიონი ევრო დაჯდა. "არსენალში" სონგი იდეალურად თამაშობდა და ბოლო პერიოდში გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელადაც კი ითვლებოდა, თუმცა, კატალონიაში ის სათადარიგო სკამის შეუცვლელი ფიგურა გახდა. არც გვარდიოლა, არც ვილანოვა და, არც ტატა მარტინო მას შანსს არ აძლევდნენ. სონგი მუდმივად სკამზე იჯდა, რის გამოც, საბოლოოდ, იჯარით მოითხოვა გაშვება. დღეს, ის "ვესტ ჰემ იუნაიტედის" ღირსებას იცავს.

**8. დიმიტრ ჩიგრინსკი**

ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო ტრანსფერი კატალონიური გუნდის ისტორიაში. 2009 წელს "ბარსელონამ" უკრაინელი ფეხბურთელი, დიმიტრ ჩიგრინსკი შეიძინა, რომელიც 25 მილიონი ევრო დაჯდა, თუმცა 1 წელიწადში ის უკანვე მიაბრუნეს. ექსპერტები თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ ეს ტრანსფერი ვერ გაამართლებდა.

**9.ალექსანდერ გლები**

კიდევ ერთი "არსენალის" გამორჩეული ფეხბურთელი, რომელიც "ბარსელონამ" დაღუპა. 2008 წელს ალექსანდერ გლები კატალონიაში გადავიდა, რის შემდეგაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა საოცნებოდ ექცა. კატალონიელებმა გლების სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაიხადეს, თუმცა 4 წლის მანძილზე ბელარუსმა მხოლოდ 19 შეხვედრა ჩაატარა.

**10. რონალდო**

ლუის ნაზარიო დე ლიმა რონალდო, რომელმაც პირველად საზოგადოებამ "ბარსელონაში" გაბრწყინების შემდეგ გაიცნო. ბრაზილიელმა ფორვარდმა 1 წელიწადში 49 გოლი გაიტანა და ვარაუდობდნენ, რომ ის გუნდის მომავალი უნდა გამხდარიყო, თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად ის სეზონის ბოლოს "ინტერში" გაყიდეს. დღემდე ვერ ხსნიან იმ ფაქტს თუ რატომ გაუშვა ნუნიესმა რონალდო "ინტერში".

*sportall.ge*

## მილოცვები

ქალბატონ

**ვარდიკო თოდრიას**

და ბატონ

**როლანდ წიტაიშვილს!**

გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას და უამრავ სიკეთეს. კიდევ დიდხანს ემსახურეთ ჩოხატაურს თქვენი საყვარელი საქმით.

*პატივისცემით, "ნიუსელები"*

---

ჩვენს მეგობრებს

**მარიკა ყაზაიშვილს, ირინე ნინიძეს, ელენე ზაქარეიშვილს და გიორგი რამიშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს. იყავით მუდამ მხნე და ენერგიული.

*სიყვარულით, "ნიუსელები"*

---

დიდივანის საჯარო სკოლის დირექტორს

**გიორგი რამიშვილს**

ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ, არასოდეს მოაკლოს ჩვეული ერთგულება და ენერგია მშობლიურ სკოლას, რომლითაც სუნთქავს ეს მივიწყებული სოფელი.

*ნანი რამიშვილი*

---

ბატონ

**დავით გუდავაძეს!**

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

*ბასილეთის საჯარო სკოლა*

---

მამა, გილოცავთ დაბადების დღეს. გუსურვებთ სითბოსა და სიყვარულს. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ.

*მარიამი, ალეკო*

---

**ჩვენო ირინა!**



23 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. გვინდა, უსაზღვრო სითბოთი და სიყვარულით მოგილოცოთ ეს თარიღი. შენ ხარ ქვეყნად მოვლენილი რწმენის, სიკეთის, სათნოების, კეთილშობილების სიმბოლო. ამიტომ, ყველაფერი საუკეთესო შენთვის გვინდა. იცოცხლე დიდხანს ჩვენი ოჯახის გასახარად. არ მოგკლებოდეს ღვთის წყალობა, მზიანი დღეები და ბედნიერება შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ.

*დედამთილი, მამამთილი*

---

დაბადების დღეს ვულოცავ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ დიდივანში

**ელენე ზაქარეიშვილს**

ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ ამ ღირსეულ ქალბატონს.

*ნანი რამიშვილი*

---

დიდი სიყვარულით მინდა მივულოცო დაბადების დღე ქალბატონ

**ელენე ზაქარეიშვილს.**

თქვენი ყურადღება არ მოჰკლებოდეს სოფელ დიდივანს.

*მარინა ბერძენიშვილი, კახა რამიშვილი*

---

დიდივანის საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ

**გიორგი რამიშვილს!**

ულოცავთ დაბადების დღეს ღმერთი გფარავდეთ.

*მარინა ბერძენიშვილი, კახა რამიშვილი*

---



კარგ ბიჭს

**სერგო გურამის ძე გუბელიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ წარმატებით სწავლას. გაიზარდე კარგი ვაჟკაცი, გფარავდეს ღმერთი.

*ბებია ასინო ზარბაზოია*

## მადლობა

ვარ 85 წლის მოხუცი, ავადმყოფი, მწოლიარე. მყავს 3 შვილი, რძლები, სიძე, შვილიშვილები. ყველას ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სახლში მყოფ ჩემს რძალს _ ლიას, რომელიც მივლის. ის თვითონაც ავადაა, მაგრამ მე ყურადღებას და მოვლას არმაკლებს. ღმერთი ჰფარავდეს.

*ცისანა წიტაიშვილი*

**ყურადღება!**

**ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წინაშე დგას გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე:**



**599 242 399**
**598 636 555**

*ან მოგვმართეთ მისამართზე:*
*ჩოხატაური, დუმბაძის 10,*
*ჩოხატაურის საბიბლიოთეკო გაერთიანება.*

**შშმ. პირთა მომსახურეობის ცენტრი.**

## ვალუტის კურსი

| 1 GEL | კურსი |
|---|---|
| USD | 1.9527 |
| EUR | 2.4493 |
| GBP | 3.0605 |
| RUB | 0.6768 |



## ამინდის პროგნოზი გურიაში




მარიამ თოდრია, 7 წლის




ელენე ფხალაძე, 9 წლის




სალომე ზაზახიძე, 7 წლის




ლიზი სახიაშვილი, 11 წლის

გურია NEWS

**უმაღლესი ხარისხის ფოტოების ბეჭდვა**

უახლესი ციფრული ტექნოლოგიით შეგვიძლია, გადაგიღოთ, დაგისკანეროთ, აღგიდგინოთ და ამოგიბეჭდოთ უმაღლესი ხარისხის ფოტოსურათები.

*ჩოხატაური, დუმბაძის 25,*
*გაზეთ "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისი,*
*I სართული, საკანცელარიო მაღაზია*